MIA 0 19 00807532

29/03/2019

სსიპ - საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს
სატენდერო კომისიის სხდომის
**ოქმი N1**

ქ. რუსთავი 29 მარტი 2019 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**
**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:** სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) დირექტორის მოადგილე **ბესიკ ტეფნაძე**
**სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:** სააგენტოს ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი **ზურაბ ჭელიძე.**
**სატენდერო კომისიის წევრები:** სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილე **ნინო წოწონავა,** სააგენტოს ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის, ლოგისტიკის სამმართველოს უფროსი **ლევან ძიძიგური**, სააგენტოს ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის საფინანსო სამსახურის უფროსი **ლია მაისურაძე,** სააგენტოს ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსი **ანტონ გლავაცკი.**

**სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:** სააგენტოს ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი **მერაბ ჯიბუტი,** სააგენტოს ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი **ეკატერინე თაბუაშვილი.**

**დღის წესრიგი:**

დაბალყელიანი ფეხსაცმლის (CPV 18800000) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო კომისიის მიერ აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის (აბრევიატურა: NAT) სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

**მოისმინეს:**

სატენდერო კომისიის აპარატის წევრის ე. თაბუაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა შს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის მიმდინარე წლის 29 მარტის N807418 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მომზადებული, სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი; ა) სატენდერო განცხადებისა და

ბ) სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, რომლის რეგისტრაცია დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს **927 947,00** ლარით (დღგ-ს გარეშე).

**კომისიამ დაადგინა:**

1. სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი, შეიტანეს ცვლილებები და დაამტკიცეს.
2. წინადადების მიღების ვადის დასრულებისთანავე ტენდერზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, მათ შორის წარმოდგენილი ნიმუშები სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მიზანშეწონილია გადაეგზავნოს შსს ეკონომიკურ და ლოჯისტიკის დეპარტამენტებს.
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $12^1$მუხლის მე-2 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი’’-ს მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო /
ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტი /
შესყიდვების სამსახური
მთავარი სპეციალისტი
თაბუაშვილი ეკატერინე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო /
ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტი /
შესყიდვების სამსახური
შესყიდვების მენეჯერი
მერაბი ჯიბუტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო /
ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტი /
შესყიდვების სამსახური
სამსახურის უფროსი
ანტონ გლავაცკი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს ეკონომიკური და
ლოგისტიკის დეპარტამენტის ლოგისტიკის
სამმართველოს უფროსი
ძიძიგური ლევან

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო /
ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტი /
საფინანსო სამსახური
სამსახურის უფროსი
ლია მაისურაძე

ნინო წოწონავა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო /
ადმინისტრაციული დეპარტამენტი / იურიდიული
სამმართველო
სამმართველოს უფროსის მოადგილე

ზურაბ ჭელიძე
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს
ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
სააგენტოს დირექტორის მოადგილე
ბესიკ ტეფნაძე